<u>დამტკიცებულია 09.02.10№02-169</u>
<u>ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით</u>

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სარგებლობაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის წესი

თავი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. ეს წესი არეგულირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სარგებლობაში არსებული ქონების ფიზიკური პირების, კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის სარგებლობაში გადაცემის წესს.

2. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების ფიზიკური პირების, კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის სარგებლობაში გადაცემისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის №247 დადგენილებით "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემისას კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს სხვა კანონებითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

თავი 2

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის მიზნით კონკურსის გამოცხადების პროცედურა

მუხლი 2

1. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ საკითხს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახური წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

2. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე წარდგინებას მატერიალური

სამსახური ამზადებს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

3. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე უნივერსიტეტის მატერიალური სამსახურის წარდგინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) ქონების დასახელება, დახასიათება (უძრავი ნივთის შემთხვევაში: ქონების საკადასტრო მონაცემები და უძრავი ნივთის საკადასტრო რუკა იმ მონაკვეთის დაშტრიხვით, რომლის სარგებლობაში გადაცემაც უნდა განხორციელდეს; მოძრავი ნივთის შემთხვევაში: მოძრავი ნივთის საბუღალტრო მონაცემები ნარჩენი ღირებულების მითითებით);

   ბ) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული რომელი ფორმით უნდა განხორციელედეს ქონების გადაცემა;

   გ) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის სავარაუდო ვადა;

   დ) ქონების სარგებლობაში გადაცემის სავარაუდო პირობები და კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის სავარაუდო კრიტერიუმები;

   ე) ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის დასაბუთება;

   ვ) სხვა ინფორმაცია, რომლის მითითებასაც წარდგინების ავტორი მიიჩნევს მიზანშეწონილად.

4. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურის წარდგინება უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ ქონებაზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე გადაეცემა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისი რეზოლუციის საფუძველზე, წარდგინება გადაეცემა უნივერსიტეტის ფინანსურ სამსახურს, რომელიც ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს თავის მოსაზრებას ქონების სარგებლობაში გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რეზოლუციის საფუძველზე მატერიალური სამსახურის წარდგინება, ქონების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, გადაეცემა უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს.

5. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური წარდგინების მიღებისთანავე უზრუნველყოფს საკითხის განსახილველად გატანას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთანავე უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე საკითხის შეთანხმებას შესაბამის სამინისტროებთან.

6. კონკურსის გამოცხადების თაობაზე საკითხის შესაბამის სამინისტროებთან შეთანხმების შემდეგ უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახური, იურიდიული სამსახურის წარდგინების საფუძველზე, უზრუნველყოფს სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების ღირებულების დადგენის მიზნით აუდიტორულ შემოწმებას.

თავი 3

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების

ფიზიკური პირებისათვის, კერძო სამართლის იურიდიული

პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის

სარგებლობაში გადაცემის წესი

მუხლი 3.

1. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთი ფიზიკურ პირს, კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან საერთაშორისო ორგანიზაციას სარგებლობაში გადაეცემა ვადით და სასყიდლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, კონკურსის საფუძველზე.

2. ქონების კონკურსის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზანია, ქონებაზე სარგებლობის უფლება გადაეცეს იმ პირს, რომელიც უნივერსიტეტს ყველაზე უკეთეს პირობებს შესთავაზებს.

3. ფიზიკური პირის, კერძო სამართლის იურიდიული პირისა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის ქონების კონკურსის გარეშე გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4

1. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ კონკურსის გამოცხადების საფუძველია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე, უნივერსიტეტის მაკონტროლებელ ორგანოსთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კონკურსის გამოცხადების შესახებ საკითხის შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსაგან მიღებული თანხმობა.

2. შესაბამისი დავალების მიღებისთანავე უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური ამზადებს კონკურსის გამოცხადების შესახებ საკითხს საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შესათანხმებლად.

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ საკითხის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საკონკურსო განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კონკურსის პირობებისა და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმების შესახებ, სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონების დასახელებას (დახასიათებას), განაცხადის მიღების დაწყების, დამთავრებისა და კონკურსის ჩატარების ვადას, კონკურსში მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღს, დროსა და ადგილს, ბეს ოდენობას და ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც უნივერსიტეტი ჩათვლის მიზანშეწონილად. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საკონკურსო განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ ამზადებს უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური უნივერსიტეტის მატერიალური სამსახურის, წარმომადგენლობითი საბჭოს და შესაბამისი სამინისტროებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 5

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საკონკურსო კომისიის (შემდგომში - კომისია) შექმნის შესახებ. საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ აქტის პროექტს ამზადებს უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური.

2. კომისია ორგანიზებას უწევს კონკურსის ჩატარებას, იღებს განაცხადებს, სპეციალურად ამისათვის დანიშნულ დღეს იხილავს საკონკურსო წინადადებებს, იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.

3. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრით.

4. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით.

5. კომისიის მუშაობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს და კომისიის აქტების პროექტებს ამზადებს უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური.

მუხლი 6

1. უნივერსიტეტის მთავარი შემსყიდველი, კონკურსის ჩატარების თარიღამდე არანაკლებ 30 დღით ადრე, უზრუნველყოფს კონკურსის ფორმით სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. უნივერსიტეტის მთავარი შემსყიდველი ვალდებულია, იურიდიულ სამსახურს დროულად შეატყობინოს

კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეფერხების შესახებ.

2. ინფორმაცია კონკურსის ფორმით გადასაცემი ქონების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს პრესის ისეთ სახეობაში, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში, აგრეთვე, ინფორმაცია უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კონკურსის ფორმით ქონების სარგებლობის უფლებით გამცემის დასახელებას;

ბ) კონკურსის პირობებსა და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს;

გ) სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონების დასახელებას (დახასიათებას);

დ) განაცხადის მიღების დაწყების, დამთავრებისა და კონკურსის ჩატარების ვადას;

ე) კონკურსში მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღს, დროს და ადგილს;

ვ) ბეს ოდენობას, რომელსაც განსაზღვრავს კონკურსის ფორმით ქონების სარგებლობის უფლებით გამცემი;

ზ) განაცხადის მიღების ადგილის მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს, ფაქსს, ელექტრონული ფოსტის მისამართს;

თ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც უნივერსიტეტი, როგორც კონკურსის ფორმით ქონების სარგებლობის უფლებით გამცემი ჩათვლის მიზანშეწონილად.

4. საკონკურსო წინადადებების გახსნის თარიღის ან ნებისმიერი სხვა გამოქვეყნებული მონაცემის ცვლილების შემთხვევაში უნივერსიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კონკურსის მონაწილეებს. თუ კონკურსანტთა რაოდენობა აღემატება ათს, მაშინ შეტყობინება უნდა განხორციელდეს იმ საშუალების გამოყენებით, რითაც მოხდა კონკურსის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

5. ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების შესახებ. კონკურსის მონაწილეთა ამ უფლების განხორციელებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური.

მუხლი 7

1. კონკურსის მონაწილეთა განაცხადებს იღებს და არეგისტრირებს რეგისტრატორი განაცხადების წარდგენის თარიღისა და დროის აღნიშვნით.

2. რეგისტრატორს ნიშნავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

3. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების მიღება და რეგისტრაცია ხდება განმცხადებლის მიერ სრული დოკუმენტაციის წარდგენისთანავე, რის შემდეგაც განმცხადებელს ეძლევა კონკურსის მონაწილის სტატუსი. განაცხადის შემოსვლის დროდ მიიჩნევა მისი დარეგისტრირების თარიღი. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების მიღება მთავრდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ დღესა და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განაცხადი არ მიიღება.

4. თუ განაცხადის მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, მაშინ განაცხადი მიიღება მომდევნო სამუშაო დღეს.

5. კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების მიღება მიმდინარეობს კონკურსის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს, განაცხადის მიღების ვადის დასრულებამდე, ბეს დაუკავებლად წერილობითი უარი განაცხადოს კონკურსში მონაწილეობის შესახებ, ხოლო რეგისტრატორი ახდენს განაცხადის გამოთხოვის ფაქტის დარეგისტრირებას.

7. განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას კონკურსში მონაწილეობაზე, თუ:

   ა) განაცხადის წარმდგენი პირი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებად;

   ბ) თუ დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 დეკემბრის №247 დადგენილების "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემისას კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-5 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 8

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება უნივერსიტეტის სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების საწყისი ფასი.

2. სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება აუდიტის დასკვნის შესაბამისად.

მუხლი 9

1. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა გადაიხადოს ბე.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის ბეს ოდენობა განისაზღვრება სარგებლობაში გასაცემი ქონების საწყისი საკონკურსო ფასის 10%-ის ოდენობით.

თავი 4

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების

ფიზიკური პირებისათვის, კერძო სამართლის იურიდიული

პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის

სარგებლობაში გადაცემის წესი

მუხლი 10

1. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი ნივთის ფიზიკური პირის, კერძო სამართლის იურიდიული პირისა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის სარგებლობაში გადაცემაზე ვრცელდება ეს წესი, თუ ამ თავით განსხვავებული წესი არ არის დადგენილი.

2. ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს მოძრავი ნივთი გადაეცემა სასყიდლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის ფორმებით, კონკურსის საფუძველზე.

3. უნივერსიტეტმა მის სარგებლობაში არსებული მოძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემის საკითხი უნდა შეუთანხმოს მაკონტროლებელ ორგანოს.

თავი 5

კონკურსში მონაწილეობის პირობები და კრიტერიუმები

მუხლი 11

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნივერსიტეტს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

   ა) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა, აისახოს სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონების დასახელება (დახასიათება);

ბ) დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი წინადადებები დალუქული კონვერტით;

გ) ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს უნივერსიტეტის მიერ მითითებულ ანგარიშზე;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ განმცხადებელი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) კერძო სამართლის იურიდიული პირი დამატებით წარადგენს შესაბამისი რეესტრიდან ამონაწერს, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის დოკუმენტაციას.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, დაადგინოს კონკურსში მონაწილეობის დამატებითი პირობები საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი წესის მიხედვით.

3. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები დგინდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოიცემა კონკურსის გამოცხადების შესახებ უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურის წარდგინების, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების, შესაბამის სამინისტროებთან საკითხის შეთანხმებისა და სხვა ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი 6

კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 12

1. კომისია კონკურსის მონაწილეთა წინადადებებს განიხილავს გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებიდან გამომდინარე.

2. კონკურსის გამარჯვებულად ცხადდება საუკეთესო წინადადების წარმდგენი მონაწილე, რომლის წინადადება აკმაყოფილებს კონკურსის პირობებსა და კრიტერიუმებს.

3. თუ კომისიის მიერ შერჩეულ მონაწილეთა შეთავაზებული პირობები იქნება იდენტური, მაშინ კომისია დამატებით განუსაზღვრავს მათ 10 სამუშაო დღის ვადას დამატებითი პირობების წარსადგენად.

4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ დროს იხსნება კონვერტები. კონვერტების გახსნის შემდეგ დგინდება წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა კონკურსის პირობებთან. თუ მონაწილის მიერ წარდგენილი დოკუმენტები არ პასუხობს კონკურსის პირობებს, იგი არ დაიშვება კონკურსში და ეს ფაქტი აღინიშნება შესაბამის აქტში.

5. კონკურსის მონაწილესა და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვთ, დაესწრონ მხოლოდ კონვერტის გახსნას.

6. კონკურსის მონაწილეთა წინადადებებს კომისია განიხილავს მათი დასწრების გარეშე, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას.

7. კომისია კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილებას ახცადებს კონვერტის გახსნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც გამარჯვებული უნდა გამოვლინდეს დამატებითი პირობების წარსადგენად ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

8. კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ:

   ა) ინფორმაციის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი;

   ბ) წარდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის არშემდგარად გამოცხადების შესახებ.

10. გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

    ა) სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტის დასახელებას (დახასიათებას);

    ბ) კონკურსის ფორმით ქონების სარგებლობის უფლებით გამცემის დასახელებას;

    გ) მონაცემებს კონკურსის მონაწილეთა შესახებ;

    დ) კონკურსის მონაწილეთა წინადადებებს დანართების სახით;

    ე) კონკურსის გამარჯვებულის დასახელებას;

    ვ) ქონებით სარგებლობის კონკურსის შედეგად დადგენილ ფასსა და ვადას;

ზ) კონკურსის შედეგად დადგენილი ინვესტიციების მოცულობისა და მისი განხორციელების ვადებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 13

1. კონკურსის დასრულების შემდეგ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს, ხოლო კონკურსის გამარჯვებულს ეგზავნება შეტყობინება ხელშეკრულების გასაფორმებლად.

2. უნივერსიტეტი ვალდებულია, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ინფორმაცია გადაცემიდან 1 თვის ვადაში წარუდგინოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

3. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების კონკურსის ფორმით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული ფორმით) უნდა წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

4. უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების კონკურსის ფორმით განკარგვის დასრულების ან უნივერსიტეტის მიერ ქონების განკარგვასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა წარედგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

5. უნივერსიტეტის ამ მუხლით გათვალიწინებული ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური.

თავი 7

ბეს დაბრუნების წესი

მუხლი 14

1. ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით გადახდილი ბე ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ეთვლება ანგარიშსწორების დროს. ყველა დანარჩენ მონაწილეს შედეგების გამოცხადებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მონაწილის მოთხოვნით ბე უკან უბრუნდება. კონკურსის მონაწილის მოთხოვნა ბეს უკან დაბრუნების შესახებ შესაბამისი რეზოლუციით გადაეცემა უნივერსიტეტის ფინანსურ სამსახურს, რომელიც ამზადებს საგადასახადო დავალებას კონკურსის მონაწილისათვის ბეს უკან დაბრუნების თაობაზე.

თავი 8

გარიგების გაფორმების წესი

მუხლი 15

1. კონკურსის შედეგების დამტკიცებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა კონკურსის გამარჯვებული ვალდებულია, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური ამზადებს უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილი მოთხოვნებისა და ვადების სრული დაცვით.

2. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება ფორმდება ოთხი ეგზემპლარად. ერთი გადაეცემა ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს, ხოლო სამი რჩება უნივერსიტეტში: მატერიალურ სამსახურში - 1(ერთი) ეგზემპლარი, ფინანსური სამსახურში- 2(ორი) ეგზემპალრი. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებას რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის ფინანსური სამსახური უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობის სარეგისტრაციო ჟურნალში,

თავი 9

კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე

მუხლი 16

1. უნივერსიტეტსა და ფიზიკურ პირს, კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან საერთაშორისო ორგანიზაციას შორის გაფორმებული, უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ უნივერსიტეტის ფინანსური სამსახური და მატერიალური რესურსების სამსახური თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში.

2. უნივერსიტეტის ფინანსური სამსახური ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილების თაობაზე.

3. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახური ვალდებულია აცნობოს იურიუდიულ სამსახურს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შესახებ 2 (ორი) თვით ადრე. ასევე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილების შესახებ, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევებისა.